

## ესეების კონკურსი „მეფე ერეკლე --ხელნაწერებით გაცოცხლებული ისტორია“

ამბავი კაცისა და ...ქვეყნისა

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის“...

დიდმის ველებზე გაზაფხული დანავარდობდა, გიორგი გეგელისშვილს იმ დღეს გუთანი გამოეტანა, ხნავდა და თან მიწასა და ზეცას ჩურჩულით ეფერებოდა, უფალს ევედრებოდა ქვეყანაში მშვიდობის, ბარაქისა და სიყვარულისათვის. ხმალი მოიხსნა და იქვე ხნულში დადო, დაიჩოქა და პეშვით აღებულ მიწას ეამბორა, ამ მიწის იმედად იყო მშვიდობისმოყვარე გიორგის ოჯახი.

რამდენიმე ხნულის გატანადა აკლდა საქმის დასრულებას და .... მერე დაიწყო საშინელი დღეები ტყვეობაში, გიორგიმ იმ მიწის სურნელი თან გაიყოლა.

„ლეკიანობა“ - ასე ჰქვია მთლიანობაში ჩრდილო კავკასიელი მთიელების თავდასხმებს საქართველოზე. მათმა თავდასხმებმა მე-18 საუკუნეში ათასობით ქართველის სიცოცხლე შეიწირა და ქართლ-კახეთის მოსახლეობა რაოდენობრივად საგრძნობლად შეამცირა. ლეკიანობა მთლიანად ანადგურებდა აყვავებულ მეურნეობას.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში გაძლიერებულმა ქართლ-კახეთმა თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია მეზობელი სახანოები და დიდ სამხედრო წარმატებებსაც მიაღწია. ამ წარმატებების ფონზე მაინც გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა ლეკიანობა. მათი შემოსევები არ წყდებოდა. მართალია, ერეკლემ რამდენიმე ბრძოლაში დაამარცხა ისინი, მაგრამ ლეკები მაინც განაგრძობდნენ კახეთის აოხრებას. ლეკების საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა კახეთის აღმოსავლეთით მდებარე კაკ-ენისელის სასულთანო და ჭარბულაქანი.

ლეკებისგან თავის დასაცავად საჭირო იყო დაღესტნიდან მომავალი გზებისა და ბილიკების გამაგრება და იქ ჯარის დგომა. ლეკებს სპეციალური ტაქტიკა ჰქონდათ შემუშავებული, ისინი დიდი ჯარით იშვიათად შემოდიოდნენ, მცირე ბრბოებით თავს ესხმოდნენ მშვიდობიან სოფლებს, იტაცებდნენ ხალხს, მათი გათავისუფლებისათვის კი დიდ გადასახადებს ითხოვდნენ. იმ შემთხვევაში თუ მოტაცებულს ვერ გამოისყიდინდნენ, ქართველებს ოსმალეთის ბაზარზე ჰყიდდნენ.

გიორგი იმედს მაინც არ კარგავდა... უფალს ევედრებოდა ერთხელ კიდე ენახა საქართველო, თავისი სოფელი და ოჯახი... ისიც იცოდა, მის ოჯახს არ ექნებოდა ტყვეობიდან გამოსხნის საფასური... გეგელისშვილთა მთლიანი საგვარეულოც კი ვერ მოაგროვებდა გამოსასყიდ თანხას., მაგრამ „კაცი იმედითაო“ და გიორგიც ელოდა ღვთისა და კაცის წყალობას.

„თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული“...

მეფე თეიმურაზმა დიდმელებს ტყვის გამოსყიდვა დაავალა, მაგრამ ვერ დაიხსნეს თუ არ დაიხსნეს... ეგეც საკითხავია...

გავიდა დრო და „ხმლით შემოვარდნილა ერეკლე ბატონი“, მტრებიც კი ცდილობდნენ ქართველებთან დამეგობრებას, ერთმა „მოყვარე“ ლეკმა გიორგი ტყვეობიდან დაიხსნა, მაგრამ სანაცვლოდ დიდ თანხას ითხოვდა. „მსგავსი ყოველი მსგავსსა შობს“ და

მეფის ძემ, ლევანმა, ყველაფერი გააკეთა გიორგის გასათავისუფლებლად, ამის შემდეგ გიორგი გეგელისძვილი მეფის ძისგან „ხელდებულ იქნა.“

სულხან-საბას განმარტებით „ხელის-დადება ესე არს...დიდებულმან ვინ გინდა მიიბაროს და თავის საფარველს ქვეშ დაიფაროს“.

ქართველი ხალხი მუდამ ამაყობდა თავისი მეფეებით, ვინაიდან საქართველო ის ქვეყანაა, სადაც „მეფე უნდა ემსახუროდეს ხალხს და არა ხალხი მეფეს“- ყოველთვის სრულდებოდა. ამის მაგალითია ის, რომ არცერთ ეპოქაში არ მომხდარა გლეხთა აჯანყება, რომელიც მეფის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული.

პატარა კახი იყო „მზრუნველი მამა“ თავისი ხალხისა, ამბობენ, დიღომში ტყვეობაში ნამყოფ გიორგი გეგელისძვილს შემოდგომით მეფე ერეკლე სწვევიაო სტუმრად, კარგადაც მოუღებია მეფეს და დაუბარებია დიღმის მამასახლისი დავითა და „ერთობით დიდმელებისათვისაც“ მოუხსენებია, რომ გიორგიზე ხელი არავის ჰქონდა, რომ მეფის ოჯახი „შვილად ხელდებულად“ მიიჩნევდა გიორგის, გეგელისძვილთა ჯალაბობას მეფის საოცარ სიკეთეზე თვალზე ცრემლი მოსვლიათ, უხუცეს დიდმელს პირზე ღიმილით უთქვამს: „არ ახალია, ძველიაო“ მეფისგან ეს სიკეთე, მის მოყვრებს უცხოვრიათ კახეთში და სცოდნია, რომ იქაც ჰყოლია მეფის ოჯახს გიორგისნაირი რამდენიმე „ხელდებული“.

იმასაც ჰყვებიან დიდმელები, რომ გიორგის ნაშიერნი ყველა ბრძოლაში მეფის გვერდით იბრძოდნენ და საოცარ ერთგულებას აჩვენებდნენ მეფესო. რამდენიმე კახეთშიც გადასახლებულა იმ მიზნით, სულ თვალეებში უნდა ვუცქიროთ „ჩვენ ბატონ ერეკლესაო“.

ასე ჰყვარებიან ქართველებს მეფე ერეკლე.

იაკობ გოგებაშვილი, 13 წლის, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კონდოლის საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე.